საჯარო სამართლის იურიდიული პირი გრიგოლ წულუკიძის
სამთო ინსტიტუტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №32

ქ. თბილისი 01 მაისი 2020 წ.

საქართველოში ახალი კორონა ვირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს გენერალური დირექტორის №21 (18.02.2016) ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის წესდების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანების და სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს გენერალური დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №102 (შემ. №355, 30.04.2020) ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნას შესასრულებლად სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს გენერალური დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №102 ბრძანება „საქართველოში ახალი კორონა ვირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ 2020 წლის 23 მარტის №79 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (დანართი).

2. სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს გენერალური დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №102 ბრძანების პირველი მუხლის შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროთ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს.

3. დაევალოს ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსს ვერიჩკა მაჭარაშვილს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად უზრუნველყოს ამ ბრძანების და სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს გენერალური დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №102 ბრძანების ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის გაცნობა.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში თამაზ ახვლედიანს.

5. ბრძანება გაეცნოს ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

დირექტორი ნიკოლოზ ჩიხრაძე